დაგროვებითი საპენსიო რეფორმის შედეგები (2019-2021წ) და განვითარების შესაძლო გზები

მამუკა სურმანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (საბანკო და საფინანსო საქმეში) აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ყაველაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

სარჩევი

აბსტრაქტი I

Abstract II

შესავალი 1

თავი 1. კვლევის მეთოდოლოგია 6

თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა 11

2.1. საპენსიო მდგომარეობა 2021 წლამდე 12

2.2. პენსიების ინდექსირება და დაგროვებითი საპენსიო რეფორმა 14

2.3. დაგროვებითი საპენსიო რეფორმის 2019-2021 წლების მიმოხილვა 19

2.4. მსოფლიოში მოქმედი საპენიო სისტემების მიმოხილვა 30

თავი 3. კვლევის შედეგები 43

3.1. საზოგადოების აზრის კვლევა საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით 45

დასკვნა-რეკომენდაციები 51

ბიბლიოგრაფია 53

დანართი 56

დანართი #1 56

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მამუკა სურმანიძე

19.06.2022

აბსტრაქტი

ნაშრომი შეისწავლის 2019 წლის პირველი იანვრიდან საქართველოში ამოქმედებულ საპენსიო სისტემას, როგორც სოციალური პენსიის ინდექსირების, ასევე დაგროვებითი საპენსიო რეფორმის შედეგებს და განვითარების შესაძლო გზებს. დღეს არსებული კვლევების უმრავლესობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ძირითადად მოიცავს განხორციელებული რეფორმის შედარებას საერთაშორისო პრაქტიკასთან. ნაშრომში განხილულია საპენსიო პოლიტიკის შედეგები მიმდინარე მდგომარეობით და განვითარების შესაძლო გზები ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ნაშრომში განხილულია ასევე საერთაშორისო ქვეყნების საპენსიო ფონდების მიმდინარე მდგომარეობის მიმოხილვა, სისტემის ადმინისტრირების, პორტფელების დივერსიფიცირების, ყოველწლიური ამონაგებისა შესახებ. აღნიშნული მონაცემები შედარებული საქართველოში არსებულ მდგომარეობასთან. საერთაშორისო სისტემების ეფექტიანობის შეფასებისატვის გამოყენებულია ავტორიტეტული ორგანიზაციების წლიური ანგარიშები.

სქემაში ჩართვის სავალდებულო ბუნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია გავიგოთ რა ეფექტს ახდენს საპენსიო შენატანი დასაქმებულებისათვის, როგორია მათი დამოკიდებულება, მოლოდინები რეფორმის ეფექტურობასთან დაკავშირებით. ნაშრომის ბოლოს მოცემულია ის რეკომენდაციები რომლებიც მიმდინარე მდგომარეობიდან გამომდინარე, ვფიქრობ დადებით გავლენას იქონიებს ქვეყანაში საპენსიო პოლიტიკის გაუმჯობესების კუთხით.

საძიებო სიტვები: საპენსიო პოლიტიკა, საპენსიო რეფორმის მიმდინარე შედეგები.

Abstract

The paper is about the pension system launched in Georgia started January 1, 2019. Current result social pensions indexation and Accumulative pension reforms is one of the main topic. The paper discusses the consequences of the pension policy with the current situation and possible ways of development

The paper also reviews international pension funds, system administration, portfolio diversification, and annual returns. These data are compared with the situation in Georgia. Annual reports of authoritative organizations are used to evaluate the effectiveness of international systems.

Due to the mandatory accumulation system, it is important to understand what effect the pension contribution has on employees, what their attitudes are, and their expectations regarding the effectiveness of the reform. At the end of the paper are given the recommendations that, I think will have a positive impact on improving pension policy in the country.

Keywords: Pension Policy, Results of Pension Reform.